

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლების საშუალოვადიანი  
პრიორიტეტების დოკუმენტი



2018 წელი

## თავი I ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

### შესავალი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებები და პროგრამები მომზადებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივნისის N385 ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

დოკუმენტში აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულებები და პროგრამები გათვალისწინებულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.


ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით (საკრებულო) და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი (მერი) ორგანოს მიერ დასახული პრიორიტეტების, ასევე ქალაქ ქუთაისში არსებული სიტუაციის ანალიზის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა ქალაქის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- ❖ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;
- ❖ ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;
- ❖ გარემოს დაცვა;
- ❖ განათლება;
- ❖ კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;
- ❖ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

საშუალოვადიანი დაგეგმვის პროცესი გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების იდენტიფიცირებისა და ანალიზის, გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის, საშუალოვადიანი პროექტებისა და აქტივობების დაგეგმვის, დამტკიცების, განხორციელებისა და ანგარიშგების ერთიან პროცესს. ამ პროცესის მეშვეობით განისაზღვრება ის ძირითადი პროგრამები და ღონისძიებები, რომლებსაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული განახორციელებს მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი ეფუძნება „ქალაქ ქუთაისის განვითარების სტრატეგია - ქუთაისი 2021“-ს, რომელიც შემუშავებული იქნა ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ საზოგადოების ფართო ჩართულობით და დამტკიცდა 2016 წლის 31 აგვისტოს ქალაქ ქუთაისის საკრებულოს მიერ. პრიორიტეტების დოკუმენტი წარმოადგენს აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების მექანიზმს საშუალოვადიან პერსპექტივაში, ხოლო თავის მხრივ პრიორიტეტების

დოკუმენტით დასახული მიზნების მიღწევისათვის ყოველწლიური ბიუჯეტის ფარგლებში იგეგმება და ხორციელდება კონკრეტული პროგრამები და ქვეპროგრამები (იხ. დანართი). ამასთან, ვინაიდან ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა ხდება პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით, მასში შესაძლებელია, რომ დეტალურად გაიწეროს და ნათლად წარმოჩინდეს -თითოეული სტრატეგიული პროგრამის და პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები და მისაღები/მიღებული შედეგები, ასევე მათი შეფასების ინდიკატორები.



საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის რეალიზაცია ორიენტირებულია ქალაქ ქუთაისში საინვესტიციო გარემოს შექმნის, სამრეწველო, სავაჭრო და ტურისტული სექტორების განვითარების, ქალაქის ეკონომიკის დინამიური ზრდის უზრუნველყოფის, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, მოსახლეობის რეალური შემოსავლების ზრდის, სიღარიბის ეტაპობრივი დაძლევის, სოციალური ფონისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობაზე.

## ქუთაისის შესახებ

ქუთაისი 3500 წლის ისტორიით მსოფლიოს უძველესი ქალაქების ათეულში შედის, რომელიც დღესაც ვითარდება. ქალაქი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში და წარმოადგენს იმერეთის რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს.

ქუთაისი ტერიტორიული სიდიდის მიხედვით საქართველოს რიგით მეორე ქალაქია დედაქალაქის შემდეგ და მისი ფართობი 70 კვ.კმ-ია. ქალაქის განაშენიანებული კვარტლები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გრძელდება 7,9 კმ-ზე, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 10 კმ-ზე. ქალაქის პირველადი საგზაო ქსელის სიგრძეა 231.3 კმ.

ქუთაისი საქართველოს ყველა სტრატეგიულ ადგილთან საგზაო ქსელის მეშვეობითაა დაკავშირებული. მანძილი ბათუმის პორტამდე - 139 კმ, ფოთის პორტამდე -105 კმ, ხოლო ანაკლიის პორტამდე - 123 კმ, მანძილი დედაქალაქამდე - 225 კმ, მთავარი სარკინიგზო სადგურამდე 10 კმ, ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტამდე 18 კმ.



**მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები და მოსახლეობა.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი მოიცავს 1 მუნიციპალურ ერთეულს - ქალაქ ქუთაისს. ქალაქი დაყოფილია 12 ადმინისტრაციულ ერთეულად ესენია:

- ქალაქ მუზეუმის ადმინისტრაციული ერთეული;
- უქიმერიონის ადმინისტრაციული ერთეული;
- გამარჯვების ადმინისტრაციული ერთეული;
- ძელქვიანის ადმინისტრაციული ერთეული;
- საფიჩხის ადმინისტრაციული ერთეული;
- გუმათის ადმინისტრაციული ერთეული;
- ავტოქარხნის ადმინისტრაციული ერთეული;
- სულხან-საბას ადმინისტრაციული ერთეული;
- ვაკისუბნის ადმინისტრაციული ერთეული;
- კახიანაურის ადმინისტრაციული ერთეული;
- მუხნარის ადმინისტრაციული ერთეული;
- ნიკეას ადმინისტრაციული ერთეული.

2016 წლის საყოველთაო აღრიცხვის მონაცემებით, ქალაქის მოსახლეობა 147.2 ათასი კაცია (საქართველოს მოსახლეობის 4 %). ქუთაისში მოსახლეობის სიმჭიდროვე 1კვ.კმ.-ზე შეადგენს 2103 კაცს, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებზე ბევრად მაღალია. ქუთაისში დასავლეთ საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 11,0% და დასავლეთ საქართველოს ურბანული მოსახლეობის 24.1% ცხოვრობს. 1959 წლიდან 2015 წლამდე ქუთაისის მოსახლეობის წილი საქართველოს ურბანულ მოსახლეობაში 7.5%-დან 7%-მდე შემცირდა. შრომისუნარიანი მოსახლეობის საშუალო ასაკი 38,8 წელია, სიცოცხლის საშუალო ასაკი შეადგენს 72.9 წელს, ქალებისათვის ეს მაჩვენებელი - 77.2 წელია, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში 68.6 წელი. ქალაქად მაცხოვრებელი მოსახლეობის წილი მთელს

მოსახლეობაში 100%. მიგრაციის შედეგად, 1989 წელთან შედარებით, ქუთაისის მოსახლეობა 36%-ით შემცირდა. 2014 წლის მდგომარეობით ქუთაისიდან ემიგრირებულად ფიქსირდება 52 414 ადამიანი.

მიგრაციული პროცესების შეჩერების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, მოსახლეობის შემოსავლების მატების და სოციალური ფონის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სტიმულირება. ამ თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ მყოფი და სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების გამოცდილებისა, კონტაქტებისა და ადამიანური თუ ფინანსური პოტენციალის გამოყენება.


მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი თანხვედრაში მოდის როგორც ქვეყნის მდგრადი განვითარების ასევე სხვადასხვა ადგილობრივ სტრატეგიებთან. როგორც არის ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმასთან (LEDP), საქართველოს სოციალური-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან „საქართველო 2020“, „საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამასთან 2018-2021“, „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიასთან 2016-2020“, „იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან 2014-2021“, ასევე ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ უკვე შემუშავებულ სხვა გეგმებთან: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი, ქალაქ ქუთაისის განვითარების სტრატეგია „ქუთაისი 2021“, „ქალაქ ქუთაისის ენერჯეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა“ (SEAP), „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2018-2019 წწ.“ (UNDP პროექტის ფარგლებში), „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კონცეფცია“.

პრიორიტეტების განხორციელებისთვის ძირითადი საბიუჯეტო ასიგნებები გათვალისწინებულია ქუთაისის ადგილობრივ ბიუჯეტში პროგრამებისა და ქვეპროგრამების სახით, რომელიც არის კონკრეტული, დროში გაწერილი, მიღწევადი და გაზომვადი.


**დასაქმება.** 2014 წლის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, ქალაქ ქუთაისში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 21733-ს, რითაც ის მსხვილი ქალაქებიდან (გარდა თბილისისა) ორჯერ ჩამორჩება ბათუმს და მცირედით უსწრებს რუსთავს. ამასთან, მაღალია თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა, რაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 16-18%-ს შეადგენს. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა ქალაქის დასაქმების სტრუქტურა. კერძოდ, თუკი ტრადიციულად ქალაქის ეკონომიკაში სამრეწველო სექტორი დომინირებდა, ახლა მრეწველობაში დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობა შეადგენს 11,1%-ს, ხოლო ვაჭრობა-მომსახურებაში - 38,7%-ს, ჯანდაცვაში - 9,2%-ს, განათლებასა და სპორტში - 17,8%-ს<sup>1</sup>.

მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა მუნიციპალურ სტრუქტურებში დასაქმებულთა რაოდენობა (7,5%), რაც მცირე ზომის ქალაქისათვის, რომლის ბიუჯეტის შემოსავლების ძირითად ნაწილს გრანტები შეადგენენ, არასასურველია.

**შრომისუნარიანი მოსახლეობის პროცენტული წილი**



**შრომისუნარიანობა**




**ხელისუფლება და ბიუჯეტი.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს ჰყავს პირდაპირი წესით არჩეული აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი - მერი და 25 წევრისაგან შემდგარი წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო, რომლის 10 წევრი არჩეულია მაჟორიტარული, ხოლო 15 წევრი პროპორციული სისტემით.

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დანერგილი ელექტრონული სერვისები და მომსახურების „ერთი ფანჯრის“ პრინციპი ხელს უწყობს ინფორმაციის პროაქტიულობას, კერძო სექტორის საჭიროებებზე დროულ რეაგირებას და ადმინისტრაციის ეფექტურ საქმიანობას. ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია ელექტრონული სერვისებით განხორციელებულ ოპერაციებზე. სამშენებლო-სარეკლამო ნებართვების გამარტივებული წესით წარდგენა-მიღებისათვის მოქმედებს ვებ-გვერდი [my.kutaisi.gov.ge](http://my.kutaisi.gov.ge). სამოქალაქო და კერძო სექტორს მუნიციპალურ ტენდერებში და აუქციონებში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს ვებ-გვერდების [procurement.gov.ge](http://procurement.gov.ge) და [eauction.gov.ge](http://eauction.gov.ge) მეშვეობით. უძრავი ქონებით დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომია ქუთაისის ზონალური განაშენიანების ინტერაქტიული რუკა [maps.kutaisi.gov.ge](http://maps.kutaisi.gov.ge). 2018 წელს ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობაში სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობისთვის ამოქმედდა ახალი პლათფორმა. USAID-ის „კარგი მმართველობის ინიციატივის“ (GGI) ფარგლებში შეიქმნა ვებ-გვერდი [volis.kutaisi.gov.ge](http://volis.kutaisi.gov.ge). ყველა დაინტერესებულ მოქალაქეს ეძლევა საშუალება წარმოადგინოს წინადადებები, იდეები ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში. მიუხედავად მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა სერვისებისა, დღესდღეობით არ არსებობს მომსახურება, რომელიც დაეხმარება როგორც სტარტაპებს, ასევე ბიზნესის დაწყებით დაინტერესებულ მოქალაქეებს. მსგავსი სერვისი ხელს შეუწყობდა ბიზნეს ცნობიერების ამაღლებას, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის განვითარებას.

სამუშაოს მაძიებელთათვის ქუთაისში სერვისებს ახორციელებს სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის ცენტრი [worknet.gov.ge](http://worknet.gov.ge) მეშვეობით.


ნულოვანი ტოლერანტულობა კორუფციის მიმართ და კარგი მმართველობის პრინციპები წარმოადგენს ადგილობრივი ხელისუფლების უმთავრეს წინაპირობას რათა გაიზარდოს ნდობა კერძო ბიზნეს წრეებში და სამოქალაქო საზოგადოებაში. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი არის პირველი საქართველოში, რომელმაც UNDP-თან თანამშრომლობით შეიმუშავა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2018-2019 წწ“.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახელმწიფო შესყიდვებით ხელმისაწვდომი ფინანსები (ლარი)



ქალაქის 2/3 განაშენიანებულია, თუმცა თანაბარი ურბანული განვითარების და ინვესტირების

გრაფიკი №4. მუნიციპალური ქონების პრივატიზაცია (მიწა და შენობა) 2015-2017 წწ.



შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს ქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის არქონა. ქალაქში საჯარო ინფრასტრუქტურის პროექტების მიმდინარეობამ ინტერესი გაზარდა უძრავი ქონების მიმართ. მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ავლენს მის საკუთრებაში არსებულ გამოუყენებელ უძრავ ქონებას, ამტკიცებს საპრივატიზაციო გეგმის სახით და განკერძოებას ახდენს ელექტრონული აუქციონის წესით. განკერძოებული მუნიციპალური ქონების გარკვეული ნაწილი კვლავ დაუტვირთავია, რადგან პრივატიზაციის პროცესში არ ხდება მკაფიო საინვესტიციო პირობების განსაზღვრა. ქალაქის გენერალური განვითარების გეგმის მიღების შემთხვევაში ბიძგი მიეცემა საინვესტიციო აქტივობებს და ქალაქის თანაბარ ურბანულ განვითარებას. არსებითი ყურადღება უნდა დაეთმოს

პრივატიზებული ქონების საინვესტიციო პირობების დაზუსტებასა და მისი შესრულების მონიტორინგს. ინკლუზიური ეკონომიკის ზრდის სტიმულირებისათვის მნიშვნელოვანია მუნიციპალურ ქონებაზე ისეთი ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც ბიძგს მიცემს ქალაქის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით. ადგილობრივი ბიზნესი ინვესტირებას არ ახორციელებს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სისტემების დანერგვაში, რაც ხელს შეუწყობდა გარემოს გაუმჯობესებას და ახალი ბიზნეს ინიციატივების რეალიზებას და გამორჩეული იქნებოდა თავისი ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტებით.

ქალაქი ეკონომიკური აქტივობისათვის უზრუნველყოფილია კომუნალური ინფრასტრუქტურით: ელექტრიფიცირება 100%, გაზიფიცირება 98%, სასმელი წყლით მომარაგება 99%, ინტერნეტთან წვდომა 63%.

**ქუთაისის ეკონომიკა** საბჭოთა პერიოდის ქუთაისის ეკონომიკა ძირითადად ეყრდნობოდა წარმოების სფეროს, სადაც დაახლოებით 55 ათასი კაცი იყო დასაქმებული. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ დაიწყო დეინდუსტრიალიზაციის პროცესი და წარმოების დონის მკვეთრი დაცემა. საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვამ გამოიწვია ეკონომიკის დარგების სტრუქტურული ცვლილებები.

ქუთაისში ამჟამად 20 143 მოქმედი ბიზნეს სუბიექტია. აქედან მიკრო ბიზნეს წარმოადგენს 29,4%, მცირე ბიზნესს - 43,2%, საშუალო ბიზნესს - 27,3%, ხოლო 0,1% მსხვილ ბიზნესზე მოდის. ყოველწლიურად 1000-ზე მეტი ერთეულით იზრდება ახლადრეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა.

**ეკონომიკური აქტივობების კლასიფიკაცია 2017 წლის მონაცემებით**



ეკონომიკური საქმიანობის ტიპები	ბიზნეს ერთეულების რაოდენობა (კლასიფიკაციის მიხედვით)			
	მიკრო	მცირე	საშუალო	მსხვილი
მრეწველობა	273	423	209	12
მშენებლობა		107	82	6
ტრანსპორტი, სასაწყობო, საფოსტო და მიწოდების სერვისები	389	121	43	
სასტუმროები, რესტორნები, კვება	53	519	31	
საინფორმაციო ტექნოლოგიები	11	18	9	
ფინანსები და დაზღვევა		11	27	4
უძრავი ქონების ოპერაციები	41	78	13	
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა (მათ შორის, საბუღალტრო აღრიცხვა, არქიტექტურა, ინჟინერია, კვლევა და განვითარება, ბაზრის კვლევა, ვეტერინარული მომსახურება)	16	47	57	
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურება (ქირაობა, ლიზინგი, დასაქმება, ტურიზმი და დაჯავშნის სერვისი, უსაფრთხოებისა და გამოძიების მომსახურება, ადმინისტრაციული მომსახურება)	56	191	267	
განათლება	15	73	42	
ჯანდაცვა და სოციალური დახმარება	72	141	69	
კულტურა, სპორტი, გასართობი და დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი მომსახურება	49	76	25	
სხვა სახის მომსახურება	4980	6947	4540	

ქუთაისის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გადამამუშავებელ მრეწველობას, მაგრამ ის არ წარმოადგენს ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალას, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქუთაისის დასაქმებული მოსახლეობის 39% ვაჭრობა-მომსახურების სფეროზე მოდის, წარმოების სფერო კი მხოლოდ 11 % შეადგენს, შემდეგ მოდის ჯანდაცვა 10%, განათლება და სპორტი 18%, სხვადასხვა 22%.

შრომისუნარიანი მოსახლეობა ძირითადად დასაქმებულია საცალო და საბითუმო სავაჭრო ობიექტებში, ასევე მომსახურების სფეროს ისეთ დარგებში, როგორცაა: ესთეტიკური მომსახურება, ინდკერვა, ავტო-ტექ სერვისი, საზღვება. ხოლო მცირე ზომის საწარმოებში დასაქმება გამოკვეთილია პურ-ფუნთუშეულის, საკონდიტროს, ნახევარფაბრიკატების სფეროში. გარდა ამისა, თვითდასაქმებულთა მნიშვნელოვანი წილი მოდის ე.წ. შრომის ბირჟებზე სამშენებლო და საყოფაცხოვრებო მიმართულებით.

ქუთაისში რეგისტრირებული ბიზნესის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმების მიხედვით 73.2% ინდივიდუალურ მეწარმეებზე მოდის, 26,4% შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, 0,35% სააქციო საზოგადოება, ხოლო 0,05% უცხოური კომპანიების წარმომადგენლობებია.

ადგილობრივ ეკონომიკის განვითარებაში გენდერული ბალანსი შედარებით სუსტადაა გამოხატული. მეწარმეთა ქალთა ხვედრითი წილი 2017 წლის მონაცემებით 34% შეადგენს.

ქუთაისში წარმოებული პროდუქციიდან საერთაშორისო ხარისხის შესაბამისობაშია ტექსტილი, ფეხსაცმელი, მცენარეული ნედლეულის გადამამუშავებით მიღებული პროდუქცია (სანელებლები, ჩირი, დაფნა, ჩაი), თხილი, თაფლი, საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთები და ჯაგრისები, რომელთა ექსპორტს მსოფლიოს 17 ქვეყანაში 15 ადგილობრივი საშუალო ზომის კომპანია ახორციელებს.

ექსპორტის პოტენციალის ზრდისთვის ბიზნესის ხელისშემშლელი ძირითადი ფაქტორებია: საექსპორტო ბაზრებზე ინფორმაციის არქონა, ადგილობრივი პროდუქციის არასაკმარისი ცნობადობა, ხარისხის საერთაშორისო მოთხოვნებთან შეუსაბამობა, არასათანადო სავაჭრო ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა, არაკვალიფიციური კადრები.



### ქუთაისიდან ექსპორტი მსოფლიოს 17 ქვეყანაში

მცირე და საშუალო კომპანიებს არ გააჩნიათ ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმებში, კონფერენციებში და გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობისათვის საჭირო ფინანსური რესურსი, რაც მნიშვნელოვანია, როგორც პარტნიორებთან კონტაქტების დამყარების და ინვესტორთა მოზიდვის თვალსაზრისით, ასევე მათ მიერ წარმოებული პროდუქციის თუ მომსახურების

პოპულარიზაციისათვის. ბიზნეს სექტორი არ ფლობს შესაბამის ცოდნას ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საერთაშორისო სტანდარტებისა და ტექნიკური რეგლამენტების შესახებ.

ამ მიმართულებით გამოუყენებელია ასევე ქართული დიასპორის პოტენციალი, რომელსაც შეუძლია აქტიური მხარდაჭერა გაუწიოს მუნიციპალიტეტს როგორც ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელების, ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის, ისე მათი მიმღები ქვეყნების ბიზნეს-სუბიექტებთან ეკონომიკური კავშირების დამყარების, ქალაქების დამძობილების ხელშეწყობის და სხვ. გზით.

ბოლო წლებში მომსახურების სფეროში გააქტიურდა სამედიცინო და სასტუმრო ბიზნესი. მოქმედი 130-მდე სამედიცინო ბიზნეს სუბიექტის მიერ შეთავაზებული სერვისები ხელმისაწვდომია როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონის მომხმარებლებისათვის, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიებიდან. სულ უფრო იზრდება იმ უცხოელების რაოდენობაც, რომლებიც საქართველოში სხვადასხვა სახის სამედიცინო სერვისით სარგებლობენ (სამკურნალო ტურიზმი).

ქალაქში მომატებული ტურისტების რაოდენობამ ბიძგი მისცა სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებას, მაგრამ არსებული 20 სასტუმრო, 220-ზე მეტი საოჯახო ტიპის სასტუმრო სახლი/ვისტელი ჯამში 2800-მდე საწოლით სეზონური დატვირთვის დროს სრულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას.

ქუთაისი დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ცენტრს წარმოადგენს, სადაც მოქმედი აგრობაზრობები, სავაჭრო-სადისტრიბუციო პუნქტები უზრუნველყოფენ რეგიონის სავაჭრო აქტივობებს, მაგრამ არასაკმარისად განვითარებული სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობები სრულად ვერ პასუხობენ ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს.

საინვესტიციო მიმზიდველობისათვის ქალაქს პირველ რიგში ხელს უწყობს იმერეთის რეგიონის რეკრეაციულ ზოლში მდებარეობა, 50-მდე საკურორტო-დასასვენებელი, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრების და კარსტული გამოქვაბულების სიახლოვე, ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ვაკე რელიეფი და კარგი კლიმატური პირობები. ქალაქს გარს აკრავს იმერეთის რეგიონის მჭიდროდ დასახლებული სოფლები, რომელთა მოსახლეობა, დაახლოებით 300 ათასი კაცი, ქალაქისთვის ხელმისაწვდომ აქტიურ სამუშაო ძალას წარმოადგენს და არის პოტენციალი მცირე გადამამუშავებელი საწარმოების შექმნისა.

ქუთაისში ასევე შექმნილია 2 თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, სადაც განხორციელდა 110 მლ-მდე აშშ დოლარის ინვესტიცია. თიზ-ში ფუნქციონირებს 107 საწარმო. დაწესებული შეღავათიანი საგადასახადო სისტემისა და მომხიბვლელი პირობების მიუხედავად, ინდუსტრიული ზონები ნაწილობრივ არის დატვირთული.

ქალაქი თავისი რელიეფური ხასიათით და კლიმატური პირობებით იძლევა ალტერნატიული/განახლებადი ენერჯის გამოყენების საშუალებას. ქუთაისი ნოტიო სუბტროპიკულ ოლქშია განლაგებული. აქ ადრე დგება გაზაფხული, ზაფხულის თვეებში მზე დღის განმავლობაში 8-9 საათია, ხოლო ზამთრის თვეებში 3,5-4 საათი, ანუ დაახლოებით 2000-2100 საათია მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში. ქარიანი დღეების წლიური ჯამი დაახლოებით 114 დღე, სიჩქარე მაქსიმალური სიმძლავრისას 40 მ/წმ აჭარბებს. ქალაქს შუაზე ჰყოფს მდინარე რიონი, რომელიც საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების ულევ წყლის რესურსს იძლევა. ქუთაისში

არსებული 2 ჰიდროელექტროსადგური (რიონჰესი, გუმათჰესი) წარმოების სტრუქტურაში 20-25%-იან სეგმენტს იკავებს. მათი სიმძლავრე ჯამში 115 მგვტ-ს შეადგენს.

ქალაქის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალ-ეკონომიკური მიმართულებების პროექტების განხორციელება. ადგილობრივი პრობლემების მოგვარებისათვის საბიუჯეტო შემოსავლები არ არის საკმარისი და ის ძირითადად დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ტრანსფერებზე, რომელთა წილი დაახლოებით 55-60%-ია. საშუალოდ ბიუჯეტის 25-30% ხმარდება საჯარო ინფრასტრუქტურის განვითარებას, 8-10% მიემართება ბენეფიციართა სოციალური უზრუნველყოფისათვის.

ბოლო ათწლეულებში ქალაქში გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურა ძირეულად შეიცვალა. ძირითადად „დატვირთვამ“ მომსახურე დარგებზე გადაინაცვლა.

ამჟამად ქუთაისში ძირითადად შემდეგი პროდუქცია იწარმოება:

- ელექტროენერგეტიკა;
- ელექტრო მოწყობილობები და ელექტრონული კომპონენტები;
- დეკორატიული და საამშენებლო ქვის დამუშავება (მარმარილო, ცარცი, გრანიტი და ა.შ.);
- გადამამუშავებული ხე-ტყე, ავეჯი;
- ლითონი და ლითონნაკეთობები, თუჯის სხმულები;
- პლასტმასი და მშენებლობაში გამოსაყენებელი პლასტმასის ნაკეთობები;
- ბეტონი, რკინაბეტონი და ბეტონის ასაწყობი კონსტრუქციები, საკედლე ბლოკები და სილიკატური აგური;
- საღებავები, ლაქები, ემალები და მათი მინერალური პიგმენტები;
- ქიმიური ნივთიერებები;
- საკვები პროდუქტები (პურფუნთუშეულის წარმოება, ხორბლის გადამამუშავება, ღვინო, სპირტიანი სასმელები, ლუდი, მინერალური და უალკოჰოლო სასმელები, ხორცი და ხორცპროდუქტები, საკონდიტრო, რძის პროდუქტები, მაკარონი, ჩაი)
- სუნელ საწებლები და საკმაზ საწებლები;
- ტყავი და ტყავის ნაწარმი (მეტწილად ფეხსაცმელი);
- ტექსტილი, ტრიკოტაჟი და ნაქსოვი ტილო, შალის ბოჭკო, ქსოვილები და საგალანტერიო ნაწარმი;
- სამკერვალო ნაწარმი.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ნელი ტემპით მიმდინარეობს. მიუხედავად არსებული გამარტივებული სარეგისტრაციო პროცედურების და მზარდი ახლად რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტებისა, მცირეა მათი სიცოცხლისუნარიანობა. წარმოებაში არსებული დაბალი კონკურენტუნარიანობა, არსებული ამორტიზებული ტექნიკა, არასაკმარისი მიწა და ინფრასტრუქტურა, არაკვალიფიციური კადრები, საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე პარტნიორების ნაკლებობა ბიზნესის ძირითადი ბარიერებია.

ქუთაისი ცდილობს, გაუმკლავდეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები, სახელმწიფო პროგრამები და ადგილობრივი ბიუჯეტი საკმარისი არ არის ქალაქის შემდგომი ეკონომიკური განვითარებისთვის. ამკარად შესამჩნევი ხდება კერძო ინვესტიციების, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების ნაკლებობა. არასაკმარისად არის განვითარებული კერძო და საჯარო სექტორში რესურს დამზოგი ტექნოლოგიები და ენერგო ეფექტური სისტემები. ქალაქში არსებული M1, M2, M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების ასაკი მოძველებულია. არასაკმარისადაა განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სვლაგეზები. სატრანსპორტო პარკის განახლებისა და ქალაქში ბიზნეს აქტივობის სტიმულირებისათვის გამოიკვეთა საჭიროება ქალაქში მუნიციპალურ ქონების ბაზაზე შეიქმნას ავტოტრანსპორტის ელექტრო დასამუხტი ინფრასტრუქტურა.

ქალაქში ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისათვის აუცილებელია შიდა საქალაქო ტრანსპორტის გამართული ფუნქციონირება. საშუალოდ წელიწადში მუნიციპალური ტრანსპორტით 16-18 მლნ. კაცის გადაყვანა ხდება. საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სიგრძე ქალაქში 400 კმ-ს აღემატება.

დღემდე გრძელდება ადამიანური რესურსის გადინება ქალაქიდან და რეგიონიდან. ემიგრაციის დიდი მასშტაბების მიუხედავად, გამოუყენებელია მიგრანტების ფულადი გზავნილების საინვესტიციო პოტენციალი, არ არის შექმნილი დიასპორასთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის განვითარების შესაბამისი მექანიზმები. გამოუყენებელია ასევე მაღალკვალიფიციური დიასპორის პროფესიული ცოდნა და ეკონომიკური შესაძლებლობები - ადგილობრივ და დიასპორულ/უცხო ბიზნესებს შორის კავშირების განვითარება, ინოვაციური ბიზნეს პროექტების/იდეების მოზიდვა და მათი დაფინანსების ახალ წყაროებზე, ახალ ტექნოლოგიებზე თუ გასაღების ბაზრებზე ხელმისაწვდომობა. ყოველივე ეს საჭიროებს აქტიურ ქმედებებს ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე.

ქუთაისი საქართველოს ურბანული ეკონომიკის ქალაქების დიდ ოთხეულში შედის, სადაც თანმიმდევრულად იზრდება ადგილობრივი ეკონომიკა, შესაძლებელია ზრდის პროცესი კიდევ მეტად პროდუქტიული გახდეს საერთაშორისო ფირმებისა და დონორ ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობის განვითარებით, რომლებსაც შეუძლია ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევა ბიზნესის განვითარებისათვის. საინვესტიციო მიმზიდველ დარგებად მიიჩნევა უძრავი ქონება, ტრანსპორტი, მშენებლობა, მცირე საწარმოები, სასტუმრო ინდუსტრია.

## მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი (ეკონომიკური კუთხით)



## მუნიციპალიტეტის ხედვა და მისია

### ქუთაისის განვითარების საშუალო ვადიანი ხედვა

ქუთაისის მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალო ვადიანი პრიორიტეტების წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში განვითარების ხედვა წარმოადგენს იმ სამომავლო მისწრაფებებსა და მდგომარეობას, რომლის დადგომაც ივარაუდება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და სტრატეგიის, ასევე, სხვა დარგობრივი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების, მუნიციპალური თუ სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების, სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების შედეგად. ცხადია, მხოლოდ წინამდებარე პრიორიტეტების დოკუმენტის განხორციელება არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ მივალწიოთ ხედვაში დაფიქსირებულ სასურველ ვითარებას. თუმცა, ამ დოკუმენტში დასახული საშუალო ვადიანი პრიორიტეტების შესრულება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იმ სასურველი მდგომარეობის დადგომას, რასაც ქალაქის განვითარების ხედვა ითვალისწინებს.

ხედვის, როგორც ყოვლისმომცველი, საბოლოო მიზნის მისაღწევად აუცილებელია ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში სამოქალაქო და კერძო სექტორის, აკადემიური წრეებისა და დონორების ფართო ჩართულობა, რომელთა ინიციატივები, პროექტები და პროგრამები თავის დადებით წვლილს შეიტანს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში.

**ხედვა:** ქუთაისი - დასავლეთ საქართველოს ლიდერი ქალაქია, სადაც არსებული რესურსების ეფექტიანი და მდგრადი გამოყენებით უზრუნველყოფილია ყველასათვის თანაბარი განვითარების შესაძლებლობები. ის ადმინისტრაციულ, საკონსულტაციო და საყოფაცხოვრებო მომსახურებას უწევს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას და ბიზნეს სტრუქტურებს; მიმზიდველია საცხოვრებლად, სამუშაოდ, ბიზნესის კეთებისათვის, განათლების მისაღებად, ტურიზმისა და დასვენებისათვის, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ქალაქის სტუმართათვის.

### ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია აკონკრეტებს თვითმმართველი ერთეულის სამოქმედო პრიორიტეტებს მომდევნო რამდენიმე წლისათვის. მასში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი შედეგების ერთობლიობა, რომელთა მიღწევაზეც თვითმმართველი ორგანო პასუხისმგებლობას იღებს.

**მისია:** ქუთაისი არის ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ქალაქი საქართველოში, რომელიც დაკავშირებული მხარეების ფართო ჩართულობით უზრუნველყოფს:

- მაღალი ხარისხის განათლების სერვისის მიწოდებას;
- მაღალი ხარისხის ადმინისტრაციული, საკონსულტაციო და საყოფაცხოვრებო სერვისის მიწოდებას;
- საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას;
- საქალაქო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას;
- ქალაქის ცნობადობის გაზრდას;
- ტურისტული ატრაქციების გაუმჯობესებას და მათი მიმზიდველობის ზრდას;
- გამართული სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის შექმნას;
- ეკოლოგიური და გამწვანების სტანდარტების დაცვას.

წინამდებარე მისიის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტი მჭიდრო თანამშრომლობას წარმართავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, სამხარეო ადმინისტრაციასთან და რეგიონის სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, დონორებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებთან, მედიასთან, ბიზნესსექტორსა და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა სპექტრთან, რათა შეიმუშავოს და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შესთავაზოს მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებები.

## თავი II ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

### 2.1 შემოსავლებისა და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
შემოსავლები	55,516.5	59,219.0	49,197.3	51,657.2	54,240.0	56,952.0
გადასახადები	18,774.1	12,600.0	7,200.00	7,560.0	7,938.0	8,334.9
გრანტები	28,420.8	37,147.0	33,170.30	34,828.8	36,570.3	38,398.8
სხვა შემოსავლები	8,321.6	9,472.0	8,827.00	9,268.4	9,731.8	10,218.4
ხარჯები	47,769.8	46,934.1	47,910.8	50,306.3	52,821.7	55,462.7



შრომის ანაზღაურება	3,960.9	4,485.2	24,569.1	25,797.6	27,087.4	28,441.8
საქონელი და მომსახურება	8,903.9	6,704.0	15,333.9	16,100.6	16,905.6	17,750.9
პროცენტი	619.0	486.0	412.0	432.6	454.2	476.9
სუბსიდიები	26,443.5	29,472.4	2,223.5	2,334.7	2,451.4	2,574.0
გრანტები	692.0	70.0	5.0	5.3	5.5	5.8
სოციალური უზრუნველყოფა	3,027.4	2,869.2	3,747.0	3,934.4	4,131.1	4,337.6
სხვა ხარჯები	4,123.1	2,847.3	1,620.3	1,701.3	1,786.4	1,875.7
საოპერაციო სალდო	7,746.7	12,284.9	1,286.5	1,350.8	1,418.4	1,489.3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4,932.5	15,522.5	2,524.0	2,650.2	2,782.7	2,921.8
ზრდა	11,254.4	19,072.5	6,524.0	6,850.2	7,192.7	7,552.3
კლება	6,321.9	3,550.0	4,000.0	4,200.0	4,410.0	4,630.5
მთლიანი სალდო	2,814.2	-3,237.6	-1,237.5	-1,299.4	-1,364.3	-1,432.6
ფინანსური აქტივების ცვლილება	1,388.9	-3,594.6	-1,765.5	-1,853.8	-1,946.5	-2,043.8
ზრდა	4,184.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	4,184.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	2,795.4	3,594.6	1,765.5	1,853.8	1,946.5	2,043.8
სხვა დებიტორული დავალიანებები	2,795.4	3,594.6	1,765.5	1,853.8	1,946.5	2,043.8
ვალდებულებების ცვლილება	-1,425.3	-357.0	-528.0	-554.4	-582.1	-611.2
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	1,425.3	357.0	528.0	554.4	582.1	611.2
საშინაო	1,425.3	357.0	528.0	528.0	528.0	528.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

## 2.2 გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება

### 2017 წლის ბიუჯეტის ანალიზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება, ვალდებულებების ზრდა) გეგმის (67133,5 ათასი ლარი) ფაქტობრივმა შესრულებამ 60449,5 ათასი ლარი შეადგინა.

#### შემოსავლები

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლებმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 55516,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 58507,2 ათასი ლარის 94,9%-ია.

**გადასახადების** სახით 2017 წელს ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზებულია 18774,1 ათასი ლარი, გეგმა (18700,0 ათასი ლარი) შესრულდა 100,4%-ით.

**საშემოსავლო გადასახადი** შეადგენს 11616,0 ათას ლარს (გეგმა 8000,0 ათასი ლარი), შესრულებულია 145,2%-ით. მათ შორის: გადასახადი ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან შეადგენს 11568,4 ათას ლარს, არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (გარდა ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისა) – 17,2 ათას ლარს, გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან- 30,4 ათას ლარს.

**ქონების გადასახადიდან** საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მიღებულია 7158,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (10700,0 ათასი ლარი) 66,9%-ია, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 5625,4 ათასი ლარი (გეგმა 9010,0 შესრულდა 62,4%-ით), უცხოურ საწარმოთა ქონებაზე გადასახადი შემოვიდა 28,6 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (50,0 ათასი ლარი) 57,2%-ია, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 394,2 ათასი ლარი (გეგმა 390,0 ათასი ლარი შესრულდა 101,1%-ით), გადასახადი მიწაზე - 1109,9 ათასი ლარი (გეგმის 1250,0 ლარი 88,8%).

#### გრანტები

2017 წელს გრანტების სახით ქუთაისის ბიუჯეტში ჩაირიცხა 28420,8 ათასი ლარი, გეგმის (28661,0 ათასი ლარი) 99,2%, აქედან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები შეადგენს 15,5 ათას ლარს, სხვა დონის სახელმწიფოთა ერთეულებიდან მიღებული გრანტები შეადგენს 28405,3 ათას ლარს, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი - 19578,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი - 220,0 ათასი ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაგეგმილი 8863,0 ათასი ლარიდან მიღებული იქნა - 8607,3 ათასი ლარი.

## სხვა შემოსავლები

2017 წლის განმავლობაში სხვა შემოსავლების კუთხით შემოვიდა 8321,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (11146,2 ათასი ლარის) 74,7%-ს შეადგენს.

**რენტის** სახით ბიუჯეტში შემოსულია 214,4 ათასი ლარი, მათ შორის:

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 147,7 ათასი ლარი; შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში გადაცემიდან - 66,7 ათასი ლარი, გეგმა (110,0 ათასი ლარი) შესრულდა 60,6%-ით;

**სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** - 2613,6 ათასი ლარი, გეგმის (2989,5 ათასი ლარი) 87,4%;

**ადგილობრივი მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული სანებართვო მოსაკრებლები** – 129,0 ათასი ლარი, გეგმის (130,0 ათასი ლარი) 99,2%;

**სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი** - ფაქტობრივად შემოვიდა 8,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (10,0 ათასი ლარი) 84%-ია.;

**ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის** შესრულდა 91%-ით (გეგმა 1818,6 ათასი ლარი), ფაქტობრივად შემოვიდა 1655,7 ათასი ლარი. ასევე სხვა არაკლასიფიცირებული ადგილობრივი მოსაკრებლების კუთხით მიღებულია 2,3 ათასი ლარი;

**საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლიდან** მიღებულია 0,4 ათასი ლარი;

**შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)** - ფაქტობრივად შემოსულმა თანხამ შეადგინა 2027,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (2316,4 ათასი ლარი) 87,5%-ია.

**არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან** მიღებულია 502,6 ათასი ლარი (გეგმის 61,7%).

**შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების** კუთხით სულ მიღებულია 1168,0 ათასი ლარი, გეგმა (2686,7 ათასი ლარი) შესრულდა 43,5%-ით. წლიური გეგმის განსაზღვრა მოხდა წინა წლების (2014-2016 წწ) ფაქტებიდან გამომდინარე.

## არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივების კუთხით ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაირიცხა 6321,9 ათასი ლარი, გეგმა (6093,2 ათასი ლარი) შესრულდა 103,8%-ით, სადაც ძირითადი აქტივების გაყიდვიდან შემოვიდა 2399,0 ათასი ლარი, ხოლო მიწის გაყიდვიდან - 3862,0 ათასი ლარი. მატერიალური მარაგების გაყიდვიდან 60,9 ათასი ლარი შემოვიდა.

## ფინანსური აქტივები

2017 წლის დასაწყისში ფინანსურმა აქტივებმა შეადგინა 2795,4 ათასი ლარი.

## ვალდებულებები

აღებული ვალდებულებების დასაფინანსებლად 2017 წლის ბიუჯეტში წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1518,6 ათასი ლარის ოდენობით, აქედან დაიხარჯა 1425,3 ათასი ლარი (გეგმის 93,9%).

## გადასახდელები

2017 წლის განმავლობაში ბიუჯეტის გადასახდელების საკასო შესრულებამ შეადგინა 60449.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 67133.5 ათასი ლარის 90%-ია. შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ დაფინანსდა საბიუჯეტო ორგანიზაციების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები, შესრულდა ქალაქის ინფრასტრუქტურისა და სოციალურ სფეროებში არსებული ყველა აუცილებელი ვალდებულება.

2017 წლის ქუთაისის ბიუჯეტის გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაცია შემდეგნაირად გამოიყურება:

დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის საკასო ხარჯი	%
<b>გადასახდელები</b>	<b>67 133,5</b>	<b>60 449,5</b>	<b>264,3</b>
<b>ხარჯები</b>	<b>50 939,3</b>	<b>47 769,8</b>	<b>93,8</b>
შრომის ანაზღაურება	4 018,2	3 960,9	98,6
საქონელი და მომსახურება	10 189,5	8 903,9	87,4
პროცენტი	619,1	619,0	100,0
სუბსიდიები	27 170,0	26 443,5	97,3
გრანტები	753,8	692,0	91,8
სოციალური უზრუნველყოფა	3 248,4	3 027,4	93,2
სხვა ხარჯები	4 940,3	4123,1	83,5
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>14 675,6</b>	<b>11 254,4</b>	<b>76,7</b>

ვალდებულებების კლება	1 518,6	1 425,3	93,9
----------------------	---------	---------	------

დაგეგმილი 67133.5 ათასი ლარის გადასახდელებიდან 2017 წლის მანძილზე დაიხარჯა 60449.5 ათასი ლარი. აღნიშნული ხარჯები პრიორიტეტების მიხედვით შემდეგია:

დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	2017 წლის ფაქტი	%
<b>ჯამური</b>	<b>67 133,5</b>	<b>60 449,5</b>	<b>90,0</b>
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	7 704,1	7 385,1	95,9
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	20 789,3	16 289,5	78,4
ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	353,3	317,6	89,9
გარემოს დაცვა	6 872,6	6 558,7	95,4
განათლება	11 729,2	10 988,6	93,7
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	13 023,8	12 495,0	95,9
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	6 661,2	6 415,0	96,3

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა დაფინანსდა 7438,3 ათასი ლარით, გეგმა 9459,9 ათასი ლარი შესრულდა 78,6%-ით.

გზებისა და ტროტუარების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-პატრონობის ხარჯები დაფინანსდა 6244,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (8150,3 ათასი ლარი) 76,6%-ია. პროგრამის ფარგლებში 12 ხელშეკრულების შესაბამისად 26 ქუჩაზე განხორციელდა გზის საფარის მოწყობის შემდეგი სამუშაოები: ძელქვიანის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის (ასათიანის ქუჩიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე) ბეტონის საფარით მოწყობა, 3 ქუჩის (ბესიკის ქუჩის პირველი შესახვევი, ნინოშვილის ქუჩის მე-16 შესახვევი, განჯის ქუჩა) გზის ბეტონის ფილებით მოწყობა, 3 ქუჩის (ფარნავაზ მეფის ქუჩის მე-2 შესახვევი, ლ. ასათიანის ქუჩის მე-2 ჩიხი, ხორავას ქუჩა (№25 ბაგა-ბაღის შესასვლელი) გზის ბეტონის ფილებით მოწყობა ღვარსადენთან ერთად, "ვაკისუბნის" ტერიტორიულ ორგანოში 2 ქუჩის (ხუნდაძის ქუჩის ზედა ნაწილი, ხუნდაძის ქუჩის ქვედა ნაწილი) გზის ბეტონის ფილით მოწყობა, "უქიპერიონის" ტერიტორიულ ორგანოში 2 ქუჩის (ასლანიკაშვილის ქუჩის მე-2 შესახვევი, ქეთევან წამებულის ქუჩის მე-2 შესახვევი,) გზის ბეტონის საფარით მოწყობა, 2 ქუჩის ( ნუცა ჩხეიძის ქუჩა, წერეთლის ქუჩის მე-5 შესახვევი) გზის ბეტონის ფილებით მოწყობა, დავით და კონსტანტინეს

ქუჩა (ჯაჭვის ხიდიდან ბოტანიკურ ბაღამდე) ტროტუარისა და მოაჯირების მოწყობა, კ. გამსახურდიას ქუჩის (კლინიკური საავადმყოფოდან რაგბის ბაზამდე) გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა ღვარსადენთან ერთად, მესხიშვილის ქუჩის პირველი და მესამე შესახვევების გზის ბეტონის ფილებით მოწყობა, აღმაშენებლის გამზირის, ლესელიძის ქუჩის, თბილისის ქუჩის, 26 მაისის ქუჩის, კლდიაშვილის ქუჩის, კოსტავას ქუჩის, გუგუნავას ქუჩის, მელიქიშვილის ქუჩის მიმდინარე შეკეთება. ასევე მოეწყო მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის შიგა გზა ბეტონის ფილებით, ახალგაზრდობის გამზირის ტროტუარი, მიმდინარეობს ნიკეას ქუჩიდან სულხან-საბას ქუჩამდე შემაერთებელი გზის მოწყობა (ორწლიანი პროექტი) 1800 000 ლარის ფარგლებში

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სულ მოეწყო 8701 გრძივი მეტრი გზა ფართით 57076მ<sup>2</sup>, (1368 გრძ.მ ბეტონი, 2400 გრძ.მ ა/ბეტონი, 5013 გრძ.მ დაწნეხილი ფილები), აქედან დღეის მდგომარეობით მთლიანად დასრულებულია 24 ქუჩა, 2 ქუჩაზე მიმდინარეობს სამუშაოები.

რგფ-ს დაფინანსებული პროექტების გარდა ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტით ქალაქის სხვადასხვა უბანში დაფინანსდა და განხორციელდა გზებისა და ტროტუარების საფარის მიმდინარე (ორმოული) შეკეთება 17 907 მ<sup>2</sup> გზაზე

**საკანალიზაციო სისტემების, ღვარსადენების, წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები** დაფინანსდა 113,1 ათასი ლარით და გეგმა (132,6 ათასი ლარი) შესრულდა 85,3%-ით. პროგრამის ფარგლებში 3 ობიექტზე მოეწყო ახალი სანიაღვრე სისტემა, კერძოდ, მოეწყო ნიკეას ქუჩისა და კ. გამსახურდიას ქუჩის შემაერთებელ მონაკვეთზე, ი. ჭავჭავაძის ქუჩის №7ბ-ში მდებარე სახლის ეზოში და კ. გამსახურდიას ქუჩის №22 სახლის მიმდებარედ, ბოჭორიშვილის ქუჩის, გიორგი ბრწყინვალის პირველი და ბესიკის პირველი შესახვევებში განხორციელდა ახალი სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები. არსებული 15 ერთეული ბუნებრივი სასულეების მოვლა-პატრონობისა და ექსპლოატაციის გარდა, მოეწყო ი. პეტრიწის ქუჩის N54-ის მიმდებარედ არსებული სასულეების ყელი.

**პროგრამა „კორპუსისთვის“** 2017 წლის ბიუჯეტში დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 2762,1 ათასი ლარი, აქედან დაიხარჯა 2181,0 ათასი ლარი (79%). 2017 წელს რეაბილიტაცია ჩატარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის 37 ეზოს. სრული რეაბილიტაცია ჩატარდა 12-ს ხოლო დამონტაჟდა 1 ახალი სამგზავრო ლიფტი. 30 ერთეულ სადარბაზოს ჩატარდა მცირე შეკეთებითი სამუშაოები. 28 საცხოვრებელ კორპუსში განხორციელდა დაზიანებული წყალ-კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს გადაეცათ 279877 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახეობის გადასახური მასალა. თამარ მეფის ქუჩა N2-ში არსებულ, ადგილობრივი თვითმმართველობის ბალანსზე რიცხულ შენობას ჩატარდა გადახურვის სამუშაოები, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მეტად განვითარებისა და

ინფორმირებულობის მიზნით დაიბეჭდა (30000-იანი ტირაჟით) მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დამზადებული საინფორმაციო გაზეთი.

**სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაციის პროგრამა** დაფინანსდა 283,5 ათასი ლარით და გეგმა (286,0 ათასი ლარი) შესრულდა 99,1%-ით. 35 სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომელთა სარეინტინგო სოციალური ქულა არ აღემატებოდა 65000-ს და საცხოვრებელი სახლის სახურავი ჰქონდათ დაზიანებული, ჩაუტარდა თანმდევი აუცილებელი გამაგრებითი სამუშაოები.

**გარეგანათების, ვიდეოკონტროლისა და შუქნიშნების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია** საკასო შესრულებამ 4756,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმით გათვალისწინებული 4938,5 ათასი ლარის 96,3%-ია. აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში განხორციელდა სატრანსპორტო საშუალებების და ფეხით მოსიარულეების ნორმალური უსაფრთხო გადაადგილებისთვის 9 აპრილის და და ირ. აბაშიძის ქუჩების გადაკვეთაზე მოძრაობის განტვირთვისთვის სამუშაოები. ეგნატე ნინოშვილის ბაღის უკეთ განათებისთვის, შემენილ იქნა და დამონტაჟდა ახალი დეკორატიული სანათები. ქალაქის ქუჩებში შეიცვალა დნატ - 150 ნათურები 90 ვატიანი დიოდური კონსოლური სანათებით - 3850 ცალი. დამონტაჟდა ახალი სანათი წერტილები-144 ცალი, შეიღება გარე განათების ლითონის ბოძები და კრონშტეინები - 800 ცალი, განხორციელდა დაზიანებული კაბელების აღდგენა და შეცვლა, საერთო სიგრძე-12000, დაზიანებული ბოძების აღდგენა - 36 ცალი, ასევე სისტემატურად იცვლებოდა გარეგანათების გადამწვარი ნათურები ახლით, მომსახურება გაეწია სატრანსპორტო და საფეხმავლო შუქნიშნებსა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებს. განხორციელდა ვიდეოთვალის შესყიდვა.

**ძელსკამებისა და საბავშვო ატრაქციონების შექმნა-მონტაჟი** პროგრამის ხარჯი შეადგენს 25,1 ათას ლარს, გეგმა (128,0 ათასი ლარი) შესრულდა 19,6%-ით. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს გადაეცათ და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში განთავსდა 276 ცალი საბაღე ძელსკამი, აგრეთვე შემოტანილ იქნა და დამონტაჟდა 17 კომპლექტი საბავშვო გასართობი ატრაქციონი.

**მრავალსართულიანი სახლების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობისათვის** განსაზღვრული გეგმა 741,4 ათასი ლარი შესრულდა (458,4 ათასი ლარი) 61,8%-ით. პროგრამის ფარგლებში რგფ-ს და ად. ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა: თამარ- მეფის ქუჩის (25 ობიექტი) ფასადების რეაბილიტაცია, წერეთლის ქუჩის N21-ში მდებარე შენობის ფასადის რეაბილიტაცია, განხორციელდა ფალიაშვილის ქუჩის N15 შენობის ფასადზე არსებული კერამიკული პანო "კოლხეთის" აღდგენა-რესტავრაცია.

გარემოს დაცვის ხარჯები შეადგენს 6558,7 ათას ლარს, დაზუსტებული გეგმა შეადგენს 6872,6 ათას ლარს (95,4%).

აიპ „სპეციალური სერვისები“ - 2017 წელს დაიხარჯა 5427,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (5440,0 ათასი ლარი) 99,8%-ია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ნარჩენების გატანა – 54606,6 ტ და 40462,2 მ3; დაიგვა – 864093,7 ათასი მ2; დაიხაზა „ზებრა“, ღერძულა ხაზი, სიჩქარის შემზღუდავი და მიმართველების მაჩვენებელი – 583 მ2; სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი – 233 მ; სულ მოიჭრა – 10 ძირი ხე, შეისხვლა-გადაიბელა – 2027 ძირი ხე; უმეთვალყურეო ცხოველების თავშესაფარში შემოყვანილ იქნა – 1946 სული, აცრა ჩაუტარდა 1946 სულს; ოპერაცია – 1799 სულს, კასტრაცია – 1089 სულს, სტერილიზაცია – 750 სულს, გაშვილდა – 119 ძაღლი, გაშვილდა – 106 ლეკვი, ევთანაზია ჩაუტარდა 38 ძაღლს. გაიწმინდა სანიაღვრე არხი – 32050 მ; გაიწმინდა სანიაღვრე ცხაური – 1875 ც; დამონტაჟდა ცხაური – 475 ც; დამონტაჟდა ცხაურის ჩარჩო – 47 ც; დამონტაჟდა ჭა D-1000 – 17 ც; დამონტაჟდა ჭა D-800 – 4 ც; დამონტაჟდა სანიაღვრე არხი – 898ც.

ქალაქის გამწვანების, მოვლა - პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამა - დაიხარჯა 595,7 ათასი ლარი, გეგმა (888,6 ათასი ლარი) შესრულდა 67%-ით; განხორციელდა „საფიჩხის“ ტერიტორიულ ორგანოში სკვერის მოწყობა, ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარის მოვლა-პატრონობისა და ექსპლოატაციის ხარჯებმა შეადგინა - 530285,48 ლარი.

განათლების კუთხით დახარჯულმა თანხებმა 10988,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (11729,2 ათასი ლარი) 93,7%-ია. 2016 წელთან შედარებით (10738,6 ათასი ლარი) ხარჯები გაზრდილია 250,0 ათასი ლარით.

აიპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“ 2017 წელს დაფინანსდა 9410,0 ათასი ლარით (გეგმა 9850,0 ათასი ლარი). გაერთიანებაში ბავშვთა რაოდენობა 2017 წელს 9900-დან 10100-მდე მერყეობდა, საშუალოდ ცხადდებოდა 7500 ბავში, მომსახურე პერსონალის რაოდენობა შეადგენს 1679 კაცს. 2017 წელს გაერთიანების 24 და 27 ფილიალებში მოეწყო სანიაღვრე სისტემები. მე-8, 18, 7, 20, 25-ე და 31-ე ფილიალებში მოეწყო საკანალიზაციო ქსელი, არაფინანსური აქტივების მუხლში, გეგმით გამოყოფილი 59,6 ათასი ლარიდან დაიხარჯა 59,455 ათასი ლარი, ოთხი ბაგა-ბაღის შენობაზე მიმდინარეობს მიშენებები.

დასვენება, კულტურა და რელიგია 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 12495,0 ათასი ლარით, რაც გეგმის (13023,8 ათასი ლარი) 95,9%-ს შეადგენს.



**ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე** გაწეული ხარჯების საკასო შესრულებამ 4118,2 ლარი შეადგინა, გეგმა (4765,0 ათასი ლარი) შესრულდა 86,4%-ით.

ააიპ „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრისათვის“ წლის განმავლობაში დახარჯულმა თანხამ შეადგინა 147.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (150,0 ათასი ლარი) 98.6%-ია. ცენტრის მიერ 2017 წელს განხორციელდა შემდეგი ძირითადი საქმიანობები: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი. პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება. ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა. მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის დაწესებულებებში დაავადებათა რეგისტრაციის, შეტყობინებისა და ანგარიშგების მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგების შეფასება და მეთოდური დახმარება. ინფექციის კერებში ლაბორატორიული სინჯების აღება და ტრანსპორტირება რეგიონულ ცენტრში. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით. ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალისა და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა სტაციონარებისათვის. ვაქცინათა და სხვა ასაცრელი მასალების ლოჯისტიკაზე ზედამხედველობა.

